



ჩა ზკრილე სერუსალემელი

ჩათლის-ღებისათჳს აფლისა ჩუენისა უსუ ჟრისტჳს*

ჩხარებდინ ცანი და ვალობდინ ქუ-
ეყანაჲ (ეს.49,13) მათჳს, რომელნი-
იგი სხურებთა მით ბანად არიან და
განწმედად არიან საჰურებელითა
მით ცნობისაჲთა და ძალითა მით ვნებისა შის-
ებრ, ჟომელსა-იგი უსუბითა და ლერწმითა ას-
უეს. შა ძალნი ცათანი იხარებდენ და რომელ-
ნი-იგი სულნი მოსლვაჲდ არიან, ზეცისასა მას
სიძესა შეერთებოდეთ.

*ჴმაჲ ლაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენ-
ით გზანი აფლისანი* (ეს.40,3; მთ.3,3; ლუკ.3,4).
ჴამეთუ არა მცირე არს საქმჳ ესე, ვითარმ-
ცა უცნობელი რაჲმე შერთვაჲ იყო, არამედ
სულისა მიერ შეერთებაჲ არს, ჟომელი-იგი
ყოველისა გამომეძიებელი არს და სარწმუნოთა
გამოირჩევს. ჴამეთუ ამის სოფლისანი იგი
ქორწილნი არა ეგრჳთ არიედ განკითხვით,
არამედ, სადაცა სიმდიდრჳ გინა თუ სიკეთჳ,
მუნ უადრე მიხედის სიძემან. ჴოლო აჲა არა
თუ სადა-იგი ჳორცთა სიკეთჳ არს, არამედ
სადა სულისაჲ იგი შეუგინებელი გონებაჲ; აჲა
არა თუ მამონაჲსი იგი შეკდემული, არამედ
სულისაჲ იგი იმრთის მოშიშებით სიმდიდრჳ.

წნ უკუე ერჩიით, შვილნო, **სოვანეს** სი-
მართლისა ჲადაგებასა, რომელი გლოცავს
თქუენ და იტყჳს: *წრფელ ყვენიო გზანი აფ-
ლისანი* (ინ.1,23), განიშორეთ ყოველი დრკუჲ
და საცთური, რაჲთა წრფელსა მას ხვდოდით
ცხორებად საუკუნოდ, განჰმზადოთ სულისაჲ
ჭურჭელი წმიდაჲ შეუორგულეებელითა მით
სარწმუნოებითა შეწყნარებითა სულისა ჩმი-
დისაჲთა.

სწყეთ განრცხად სამოსელთა თქუენთა
სინანულითა, რაჲთა სასძლოსა მას, რომელსა
ჩინებულ ხართ, წმიდად იპოვნეთ. ჴამეთუ
სიძჳ იგი უნესს ყოველთა ერთად უხუებით,
რამეთუ ნიჭით არს მადლი და ჳმა-მალალთ-
აგან ჲადაგთა ჳმითა შეჰკრებს ყოველთა,
ხოლო შინაგან შესრულთა მათ განიკითხავს
და აღიხილავს სიღრმეჲთა ჴვაჲდი.

ჩუ იყოფინ უკუე აწ სახელ-დებულთა ამ-
ათ სმენად ესე: *მოყუასო, ვითარ შემოხუედ აჲა,
რომელსა არა გმოსიეს სამოსელი საქორწინჳ?*
(მთ.22,12) არამედ იყავნ თქუენ ყოველთა სმენად:
*ეჰა, მონაო სახიერო და სარწმუნოო, მცირე-
სა ზედა სარწმუნო იქმენ და მრავალსა ზედა
დაგადგინო შენ. ჴევედ სიხარულსა აფლისა
შენისასა!* (მთ.25,21). ჴამეთუ აწ გარემელა სდგა
კართა, არამედ იყავნ, რაჲთა თქუენ ყოველთა
სთქუათ: *იხარებდინ სული ჩემი აფლისა მიმა-
რთ, რამეთუ შემოსა მე სამოსელი ცხორებისაჲ,
ვითარცა სიძესა დამადგა მე გვრგვინი და ვითარ-
ცა სძალი შემოსა მე სამკაულითა* (ეს.61,10),
რაჲთა იპოოს თქუენ ყოველთა სული შეუგ-
ინებელ და უბინო. წრა ვიტყჳ, პირველ მოლე-
ბადმდე მადლისა რაჲსა-მემცა უკუე იჩინენით
მოტევებასა ცოდვათასა, არამედ შემდგომად
მოღებისა მის მადლისა, რაჲთა უბრალო იპოვოს
გონებაჲ შენი და თანა-მორბედ ექმნეს მადლსა
მას. ჩანდვლვე დიდ არს საქმჳ ესე, ძმანო.

წნ კრძალვით მოუჳდეთ მას, რამეთუ კაც-
ად-კაცადი თქუენი წარდგომად არს წინაშე
იმრთისა და წინაშე ბევრთა მათ ანგელოზ-
თა, და სულმან ჩმიდამან აღგბეჳდნეს თქუენ
და სული თქუენი, და აღწერად ხართ თქუენ
ერისა კაცად წიღისა შეუფისა. წმიერთგან
განემზადენით და განეკრძალენით. წრა თუ
სამოსელი ბრწყინვალჳ ჳამს აჲა მოსად, არა-
მედ სულისაჲ იგი გონიერებით იმრთის მო-
შიშებაჲ. ჩუ ვითარცა წყალსა ლიტონსა ხედავ
შენ ბანასა მას, არამედ წყალსა თანა მოცე-
მულსა მადლსა. ჴითარცა ბომონთა მათ ზედა
კერძოთასა, შეწირული იგი დაღათუ ბუნებით
არნ ლიტონ, ხოლო შე-ვე-გინებულ იქმნის სახ-
ელ-დებითა კერპთაჲთა, ეგრე ცვალებულად
ლიტონმან მან წყალმან სახელ-დებითა მით
შამისა, ჴრისტჳსითა და ჩმიდისა სულისაჲთა
ძალი სინმიდისაჲ მოილო.

ჴამეთუ მრჩობლი არს კაცი – სულთაგან
და ჳორცთა შეყოფილ. სერეცა მრჩობლ არს

* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. აკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 83-89.

განსაწმედელი იგი: უსხეულოდ იგი უსხეულ-
 ოსა, ჳორცი იგი ჳორციელსა, წყალი იგი გა-
 ნსწმედს ჳორცთა და სული ჩმიდად აღჰბეჭ-
 დავს სულთა, რაათა სხურებულნი გულითა,
 განბანილნი ჳორცითა წყლითა მით წმიდითა
 მოუჭდეთ იმერთსა. **წნ**, რაჟამს წყალსა ამას
 შეხვდოდი, ნუ წყალსა ამას ლიტონსა ხედავ,
 არამედ შეწვენასა სულისა ჩმიდისასა და ცხო-
 ვრებასა ელოდე, რამეთუ თვნიერ მათ ორთასა
 ვერ ეგების სრულ-ყოფად.

წრა თუ მე ვიტყვ ამას, არამედ **აფალი** შესუ,
 რომელსა-იგი ჳელმწიფებად აქუს საქმისა ამის
 და იტყვს: *უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლითა
 და სულითა, ვერ შევიდეს სასუფეველსა იმ-
 რთისასა* (ინ.3, 5). **წრცალა** რომელი წყლითა
 ხოლო ბანილ არს და ვერ ღირს-ქმნულ არს
 იგი სულისა, ვერ ჳელ-ენიფების მას, ვითარმცა
 სრული აქუნდა მადლი; და არცალა თუ ვინმე
 იყოს საქმითა და არა მოელოს ბეჭედი იგი
 სულისა, ვერ შევიდეს სასუფეველსა **აათასა**.
 საკადრებელ არს სიტყუად ესე, არამედ არა
 მე ვიტყვ ამას. **წრამედ** შესუ არს, **ქომელი**
 იტყვს ამას.

შოვედით აწ სიტყვსა ამის გამოცხადება-
 სა ლმრთოთაგან **ჩიგნთა**. **ჩორნელიოს** იყო
 კაცი მართალი, რამეთუ ანგელოზთა ხილ-
 ვასა ღირს იქმნა ვითარცა ძეგლი კეთილი.
ზოცვანი მისნი და საქმენი კეთილნი ცათა
 შინა წინაშე იმრთისა აღემართნეს, ხოლო,
 რაჟამს **სეტრე** მოვიდა, მას ჟამსა შინა მეყსე-
 ულად **სული** ჩმიდად მოხეფინა მორწმუნეთა
 მათ. **შაშინ** იტყოდეს ენათა და წინანარმე-
 ტყუელებდეს. **ჰემდგომად** მოცემისა მადლი-
 სა სულისა ჩმიდისა, – იტყვს წიგნი, – **უბრ-**
ძანა მათ **სეტრე** სახელითა **აფლისა** შესუ
ქრისტესითა ნათლის-ღებად (საქმ.10,44-48),
 რაათა პირველად სარწმუნოებითა მით სული
 იგი იშვეს და მერმელა მიიღონ ჳორცთა ჳრწ-
 ნილი იგი.

წა უკუეთუ ვისმე სწადის კითხვად, ვი-
 თარმედ რაჟსა წყლისაგან და არა სხვსაგან
 წესისა მოცემის მადლი იგი, საღმრთონი
 წიგნნი აიხუენ და ჰპოო, ვითარმედ დიდ და
 მთავარ არს წყალი და ოთხთა საჩინოთა მათ
 წესთა უმჯობეს. **წნგელოზთა** საყოფელ ცანი
 არიან, არამედ წყალთაგანვე არიან. **უჟეყა-**
ნად არს საყოფელი კაცთა, ეგრევე წყალთა
 ზედა არს; და უწინარეს ყოველთა მათ შობათა
 შესაქმესა ექუსთა დღეთასა **სული იმრთისა**

იქცეოდა ზედა წყალთა (დაბ.1,2).

წასაბამი სოფლისა არს წყალი, დასაბამი
 სახარებისა **ზორდანს** არს. **წანთავისუფლებ-**
ა **ზსრაელისა** ფარაოისგან ზღვთა მით და
 განთავისუფლება ცოდვათაგან განბანითა
 მით წყლისაგან სიტყუთა (ეფ.5,26). სადაცა
 ვის მიმართ იყოს აღთქუმად, მუნცა წყალი.

ჰემდგომად წყლით რლუნისა დაიდვა **შჯუ-**
ლი ჩოვჭს მიმართ; და **ზსრაელისა** მიმართ
მოეცა **შჯული** მთასა **სინასა**, არამედ **შემ-**
დგომად სხურებისა მის წყლისა მატყლითა
 მენამულითა და უსუპითა (ებრ.9,19). **ლია** ამ-
 აღლდა, არამედ არა თვნიერ წყლისა – პირვე-
 ლად წიაღდა **ზორდანესა** და მაშინლა მვედრ
 აღვიდა ზეცად. **ზგრევე** პირველად მღღელთ-
 მოძღუარი იგი იბანის და მაშინლა კუმევად
 წარდგის. **სირველად** **წჰრონ** განიბანა და
 მაშინლა იქმნა მღღელთმოძღუარ. **წითარმცა**
უკუე შეჰგვანდა სხუათა მლოცველად, რომე-
 ლი-იგი წყლითა არა განწმედილ იყო! და მუნ
 სახწ ნათლის-ცემისა – ემბაზი იგი საბანელ
 იყო ზარავსა მას შინა წამებისასა.

აჟუელისა **შჯულისა** დასასრული და ახ-
 ლისა **შჯულისა** დასაბამი არს ნათლის-ღებად,
 რამეთუ **ზოვანე** იყო წინამძღუარ საქმისა მის,
 რომლისა-იგი უფროს არავინ იყო შობილი დე-
 დათაგანი და დასასრული წინანარმეტყუელ-
 თა, რამეთუ *წინანარმეტყუელნი ყოველნი და*
შჯული ვიდრე ზოვანსამდე (მთ.11,13), ხოლო
 სახარებისა მის საქმეთა დასაბამ. **ქამეთუ** დასა-
 ბამი სახარებათა შესუ **ქრისტეს** არს (მრკ.1,1).
წა მისა შემდგომად იტყვს: *იყო ზოვანე უდაბ-*
ნოსა და ნათელ-სცემდა (მრკ.1,4). **წა** ლათუ
ლიაფსი (ინ.1,28) თქუა, რომელი ამალდა,
 არამედ არავე უფროს იყო **ზოვანსა**. **წრა**
 თუ მე ვიკადრებ წინანარმეტყუელთა შეტყუე-
 ბად, არამედ **აფალი** იგი მათი და ჩუენი შესუ
ქრისტეს იტყვს: *უფროსი დედათა ნაშობი ზო-*
ვანსა არავინ აღდგომილ არს (მთ.11,11). **წრა**
 თქუა შობილი ქალწულისაგან, არამედ დედა-
 თაგან. **ქამეთუ** მონისა მის მონათა მიერ არს
 შეტყუებად, ხოლო **აისა** მადლი მონათა მიერ
 შეუტყუებელ არს.

წნ იხილე, რომელი კაცი წინამძღურად
 მადლისა მის გამოირჩია იმერთმან, უპოვარი
 და უდაბნოს მოყუარეს, ხოლო არა თუ კაცის
 მოძულეს; მკალსა ჭამდა და ფრთოვან იქმოდა
 სულსა, თაფლითა იზრდიდა და თაფლისა უტკ-
 ბოხსა და უსარგებლესსა იტყოდა. სამოსლად

ემოსა სტევისაგან აქლემისა და მონაზონებისა საქმესა თჳსაგან აჩუენებდა, რომელი-იგი სულისაგან ჩმიდისა საშოსა შევიდა დედისასა.

სანწმიდნა **სერემიაცა**, არამედ არა წინანარმეტყუელებდა საშოსა შინა, ხოლო **სოვანე** ხლდებოდა წინავე საშოსა შინა სიხარულით, დაღათუ ჳორციელითა თუალითა არა ხედვიდა **ოფალსა**, არამედ სულითა იცნა იგი. ჟამეთუ დიდ არს ნათლის-ღებისა მადლი, ჳეროიყო დიდიცა იგი წინამძღუარი აღდგინებად.

სე ნათელ-სცემდა **სორდანესა** ზედა მდინარესა და განვიდოდეს მისა ყოველი **სერუსალემი** (მთ.3,5) და პირველსა მას ნაყოფსა ნათლის-ცემისასა მოიღებდა: უფროჲს ყოველთა მათ კეთილთა პატივი **სერუსალემს** შინა.

სრამედ გულისხმა-ყავთ და ცანთ, **სერუსალემელნო**, რავდენნი იგი განვიდოდეს და ნათელს-იღებდეს მისგან და აუვარებდეს ცოდვათა მათთა, პირველად უჩუენებდეს მას წყლულებათა მათთა. შაშინლა დასდებდა წამალსა მას მორწმუნეთა მათ, მოსცემდა გამოჳსნასა ცეცხლისა მისგან საუკუნოსა.

შა გნებავს თუ ცნობად, რამეთუ ჳსნა არს ნათლის-ღებად ცეცხლისა მისგან საუკუნოსა: *ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მომავალისა მისგან რისხვისა?* (მთ.3,7). სმიერითგან ნულარამცა ხართ იქედნე, არამედ ოდესმე იყვენით. **სწ** განიძარცუეთ პირველისა საცოდველისა ცხოვრებისა ძალი ყოველივე.

სუელი ჳურელსა იწროსა შევალს და განიძარცუავს სიბერესა და სიძუელს შეჭირებითა მით იწროებისაჲთა განიყარის და მიერითგან ახალ არს იგი ჳორცითა. **სსრწ**თ შევედ შენცა იწროსა მის მიერ და შესაჭირვებელისა კარისა, შეიიწრე თავი შენი მარხვითა. სიძულე, განიშორე შენგან წარსანყმედელი იგი (შდრ. **სგ.16,26**), *განიძარცუე ძუელი იგი კაცი საქმითურთ მისით* (კოლ.3,9) და თქუ, რომელი-იგი ქებათასა წერილ არს: *განვიძარცუე სამოსელი ჩემი, ვიდრემდე შევიმოსო იგი* (ქებ.5,3).

აკუეთუ ვინმე იყოს თქუენ შორის ორგული კაცთ მოთწ და იმრთის მოშიშად საგონებელ იყოს და გულითა არა ჳრწმენეს, ეგევითარსა მას **სვმონ** მოგვსაჲ აქუს ორგულებად; არა თუ რაჲთა მოვიდეს და მიილოს მადლისა მისგან, არამედ რაჲთა ვაჭრობდეს მიცემულსა მას. **სსმინენ** ეგევითარმან მან **სოვანწსგანვე**, ვითარმედ: *ანვე ეგერა ცული ძირთა ხეთასა ძეს*.

ყოველმან ხემან რომელმან არა გამოილოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას (მთ.3,10). ჟამეთუ თუალ-უზუაჲ არს შსაჯული იგი, ამისთჳს განიშორე შენგან ორგულებაჲ და რომელნი-იგი არიან ნაყოფნი სინანულისანი.

შა რომელსა ედვას ორი სამოსელი, მიეცინ, რომელსა-იგი არა აქუნდეს, და საზრდელი ეგრევე ყავნ (ლუკ.3,11).

სარწმუნო იყო მოძღუარი იგი, რამეთუ პირველ ჳყოფდა, რომელსა-იგი ასწავებდა; არა ჳრცხუენოდა, რომელსა-იგი იტყოდა, და არა დააყენებდა იჭჳ ენასა თჳსსა.

სწ შენ სულისა ჩმიდისა მადლი მოღებად გნებავს და საჭმელთა წარმავალთა გლახაკთა არა გნებავს ცემად! დიდსა ეძიებ და მცირს იგი გენყალის; დაღათუ მეზუერს ხარ, გინათუ ვინმე მეძავი ხარ, შეინანე და ესევედ ცხოვრებასა, რამეთუ იტყჳს: *მე ზუერენი და მეძავნი წინა გიძღუენ სასუფეველსა იმრთისასა* (მთ.21,31). **ანამებს** ამას **სავლე** და იტყჳს: *არცა მეძავთა, არცა მეკერპეთა, – არცა შემდგომითი შემდგომად, ვითარცა იტყჳს, – სასუფეველი იმრთისაჲ ვერ დაიმკვდრონ. შა ესრე ოდესმე იყვენით, არამედ განიბანენით, არამედ განიწმიდენით* (1 კორ.6,9-11). **სრა** თქუა: «ვიეთნი ხართ», არამედ: «ვიეთნი-ეგე იყვენით» უმეცრებასა შინა, ცოდვაჲ მიეტევების, ხოლო რომელი დაადგრეს ბოროტსა მას ზედა, დაისაჯოს.

სსაქუს შენ სიქადულად ნათლის-ღებისად თავადი ძს იმრთისაჲ შხოლოდ-შობილი. სმიერითგან რაჲლა-მე მიჳმს კაცისათჳს სიტყუად? დიდი იყო **სოვანეცა**, არამედ რაჲ სწორება-უც **ოფლისა** თანა? ჳმოვან იყო ჳმითა, არამედ რაჲ სწორება იყო სიტყჳსა მის? კეთილ იყო ქადაგი იგი, არამედ რაჲ ესწორების შეუფესა? უმჯობს იყო იგი, რომელი-იგი ნათელ-სცემდა წყლითა, არამედ რაჲ სწორება-უც შის თანა, ჟომელ-იგი ნათელ-სცემდა სულითა და ცეცხლითა? ნათელ-სცა მოციქულთა შაცხოვარმან, რაჲჲმს-იგი იყო *მეყსელად ზეციით ოხრაჲ ვითარცა ქარისა სასტიკისაჲ, და აღივსო ყოვლად სახლი იგი, სადაცა-იგი სხდეს, და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი და დაადგრა თითოეულსა კაცად-კაცადსა მათსა და აღივსნეს ყოველნი სულით ჩმიდითა* (საქმ.2,2-4).

ჟომელმან არა ნათელ-ილოს, მას ცხორებაჲ არა აქუს, გარნა მარტვლთა ხოლო,

რომელთა თვნიერ წყლისა ნათლის-ღებისა დაიპყრან სასუფეველი, რამეთუ, რაჟამს იწ-სნიდა ჯუართა სოფელსა შაცხოვარი და გუერდსა უგმირეს, გამოწდა სისხლი და ჩყა-ლი, რაათა რომელთამე ჟამსა მშვდობისასა სულითა ჩმიდითა და წყლითა ნათელ-ილონ და რომელთამე კუალად ჟამსა დევნისასა თვ-სითა სისხლითა ნათელ-ილონ.

ნა ნამებს ამას, იცის ნათლის-ღებად სახ-ელი წოდებად შესუ და იტყვს: *შემძლებელ ხართა სასუმელისა მის შესუმად, რომელ-იგი შე ვეცსუა, და ნათლის-ღებად იგი, რომელი შე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ?* (მთ.20,22).

ნა მარტვლთა აღიარეს და სოფლისა საჩ-უენებელ იქმნეს და ანგელოზთა და კაცთა (1 კორ.4,9). ღოლო შენ წუთ მელოდე და აღვი-არო, არამედ არღა არს ჟამი სმენად შენდა.

წმისთვის განწმიდა ნათლის-ღებად ოფალმან შესუ, რამეთუ მან თავადმან პირველად ნათელ-ილო. ოკუეთუ ძემან იმრთისამან ნათელ-ილო, ვინ-მე უკუე შეურაცხ-ყოს ნათლის-ღებად და ეგევითარი იგი იმრთის მსახურ იყოს? ხოლო ნათელ-ილო ამისთვის: არა თუ შან მოტევებად ცოდვათა მოილო, – რამეთუ ჴი უცოდველ არს, – არამედ, დაღათუ უცოდველ არს, ნათელ-ვე-ილო, რაათა მადლი წესი და პატივი მოსცეს ნათლის-მღებელთა. ჴითარცა-იგი ყრმანიცა იზიარნა ჴორცთა და სისხლთა და შანცა იგივე ვნებად მოილო (ებრ.2,14), რაათა, ვითარცა-იგი ჴორციელად მოსლვასა შისსა ზიარ ვიქმნენით, ეგრეცა იმრთეებისა მის მადლსა ვეზიარნეთ. წავადმან ნათელ-ილო შესუ, რაათა ამისთვისცა ჩუენ ზიარებად იგი მოვილოთ და ცხოვრებასა თანა პატივი.

ჴეშაპი იყო წყალთა შინა, ვითარცა იტყვს **სოზი**, რომელმან შთაიწრიდის **სორდანწ** თუა-ლსა მისსა (იობ.40,18) და, რამეთუ ჯერ-იყო შემუხრვად თავები ვეშაპისა მის, შევიდა წა-ვადი წყალთა მათ შინა და შეკრა ძლიერი იგი, რაათა ფლობად მოგუეცეს ჩუენ დათრგუნვად გუელთა ზედა და ღრიაკალთა და ყოველსა ძალსა მტერისასა. წრა მცირწ მვეცი იყო, არ-ამედ საშინელი. ჴოველი ნავი მესათხეველეთა ვერ შემძლებელ იყო მოღებად ერთსა ქეცსა ბოლოვსა მისისასა (იობ.40,26). *ჩინაშე მისა რბის წარსანყმედელი* (იობ.41,13) და მოსრვიდა, რომელი შეემთხუეოდა მას.

ჩარმოუძლუა ცხოვრებად, რაათა დაიკრას პირი სიკუდილმან, რაათა ყოველთა მათ

ცხოვრებულთა თქუან: სადა იყო ძღევად შენი, სიკუდილო? ანუ სადა იყო ძღევად შენი, ჯო-ჯოხეთო? (ოსე 13,14; 1კორ.15,55)... ჴომელი-იგი არს ნათლის-ღებად.

5 ჴამეთუ შეხუალ შენ წყალსა მას და შე-ღა-გმოსიეს ცოდვად იგი, არამედ მადლისა მის მოსლვამან აღბეჭდოს სული შენი და მიერთ-გან არღარა უტეოს შთანთქმად საშინელისა მისგან ვეშაპისა. შომკუდარი ცოდვითა შეხ-უალ მას და ამოხვდე მიერ განმართლებული სიმართლითა.

ოკუეთუ თანა-ნერგ ექმნე შენ მსგავსებასა მას სიკუდილისა შისისასა, ეგრეცა აღდგო-მასა ღირს იქმნე, ვითარცა-იგი შესუ ცოდვანი სოფლისანი თავს-ისხნა და მოკუდა, რაათა მოაკუდინოს ცოდვად და სიმართლით აღდგეს, ეგრეცა შენ შთახვდე წყალსა მას და ვითარ-ცა სახედ რამე დაეფლვი წყალთა მათ შინა, ვითარცა-იგი შესუ კლდესა მას შინა, მერმე კუალად აღსდგე და განახლებული ცხოვრე-ბითა ხვდოდი (რომ.6,4).

ნა ოდეს-იგი ნიჭსა მას ღირს იქმნე მოღებად, მაშინცა მწდომისა მის ბრძოლად მოგეცეს შენ ჴელმწიფებად. ჴითარცა-იგი ნათლის-ღებისა შემდგომად ოფალი გამოიცადებოდა ორმეოც დღე, არა თუ უწინარწსცა მისა ძღევად ვერ ეძლო, არამედ ყოველივე წესით და შემდგომი-თი-შემდგომად ეგულეობდა ყოფად; ეგრეცა შენ პირველ ნათლის-ღებისა მწდომთა მათ წუ იკადრებ ბრძოლად, ხოლო, რაჟამს მიილო მად-ლი იგი, მიერთგან გულ-პყრობილ იყავ სიმა-რთლისა მის საჭურველითა, მწნდებოდე მას შინა და, გინდეს თუ, ახარებდეცა.

შესუ, ძწ იმრთისა, პირველ ნათლის-ღებისა არა ახარებდა. ოკუეთუ წვთ ოფალი მოვიდა ჟამითი-ჟამად წესიერად ჟამთა მათ ჩუენ მონათა, ვჰრიდოთ-მეა უწესოდ ჟამთა მათ გარდასლვად? *მიერთგან იწყო შესუ ქად-აგებად* (მთ.4,17). *შაშინ გარდამოწდა სული ჩმიდა, ჴორციელად ხილოლი ვითარცა ტრედი* (ლუკ.3,22), არა თუ რაათა შესუ იხილოს იგი პირველად, – რამეთუ იცოდა იგი მისა წინაცა, – ჴორციელად მოვიდა, რაათა იხილოს **სოვანე** ნათლის-მცემელმან. *ნა იტყვს: მე არა ვიცოდე იგი, არამედ, ჴომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად, შან მრქუა მე: რომელსა ზედა იხილო სული ჩმიდა, გარდამომავალი შის ზედა, ჴი არს წავადი* (ინ.1,33). ოკუეთუ გაქუნდეს შენცა შეუორგულეებელი სარწმუნოებად იმრთის მო-

შიშებისა, მოვიდეს შენ ზედაცა სული ჩმიდად და ჳმად შამისაჲ ზეცით ოხრიდეს შენ ზედა, რამეთუ არა «ესე არს ძჳ ჩემი», არამედ: «ესე ან იქმნა ძედ ჩემდა».

ესუს ზედა არსებაჲ იგი ითქუა, რამეთუ *დასაბამსა იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო იმრთისა თანა და იმერთი იყო სიტყუაჲ იგი* (ინ.1,1). შის ზედა არსებაჲ იგი, რამეთუ მარადის და ოდესვე არს ძჳ იმრთისაჲ; ხოლო შენ ზედავე «ანჲა იქმნა ძე», რამეთუ არა ბუნებით ხარ ძჳ, არამედ მადლით შვილებასა მას მიიღებ. ოგი სამარადისო არს, ხოლო შენ წარმოჩინებით მიიღებ მადლსა მას.

წნ უკუე განუმზადე თავისა შენისა ჭურ-

ჭელი, რაჲთა იქმნე შვილ იმრთის და მკვდრ იმრთისა მიერ. ოკუეთუ ეგრჳთ განჳმზადო თავი შენი, რაჲთა მი-ცა-ილო, და, თუ სარწმუნოებით მოხუალ, რაჲთა სარწმუნოცა იქმნე. *წანიშოვრე ძუელი იგი კაცი ნეფსით თჳსით. ჟოველი, რაჲცა გიქმნიეს, – გინა თუ სიძვაჲ, გინა თუ მრუმეზაჲ, გინა თუ სხუაჲ რაჲმე არანმიდებაჲ, – შეინანე და მოგეტეოს. წრაჲაჲ უფროჲს ცოდვა არს ჳუარ-ცუმისა ჴრისტჳსისა და ამის განმწმედელი ნათლის-ღებაჲ არს.*

ოომელნი-იგი მოუჯდეს **სეტრეს** სამ ათასნი და ეტყოდა მათ, რომელთა-იგი ჳუარს-ეცუა ჴრისტჳ, ჳკითხვიდეს მას და ეტყოდეს... (ხელნაწერს აკლია).

